

ozurgeTis municipaliteti

a.(a).i.p. „ozurgeTis municipalitetis skolamdeli aRzrdis centri“

q. ozurgeTi, gabriel episkoposis q. # 3

tel: 599 15 25 20

#:

`21~ `01~ 2019 წელი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ კონსტანტინე შარაშენიძეს

ბატონო კონსტანტინე,

წარმოგიდგენთ ა(ა)იპ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი“-ს ანგარიშს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

2018 წლის 23 თებერვალს ქ. ოზურგეთის მერიისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გაერთიანების შედეგად წარმოიქმნა ა(ა)იპ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი“, რომლის დაქვემდებარებაში არის 43 საბავშვო ბაღი (ფილიალი), 807 თანამშრომელი(757 შტატით, 50 შტატგარეშე) და 2708 აღსაზრდელი.

ა(ა)იპ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი“-ს 2018 წლის ბიუჯეტი შეადგენდა 3400000 ლარს, რომელსაც დეკემბრის თვეში დაემატა 200000 ლარი (გაზრდილი კვების ხარჯების გამო). სულ 3600000 ლარი.

ა(ა)იპ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი“-ს მიერ გაწეულმა ხარჯებმა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა --- 3580516 ლარი.

2018 წლის აპრილის თვეში მოხდა ხელფასების გათანაბრება (ქალაქისა და სოფლების ბაღების იყო სხვადასხვა), რამაც სახელფასო სარგო გაზარდა 8653 ლარით თვეში, ხოლო ამავე წლის მაისის თვეში მოხდა ხელფასების მატება და სახელფასო ფონდი გაიზარდა 24388 ლარის ოდენობით თვეში. სულ 2018 წელს ხელფასის მუხლით ცენტრისა და ბაღების თანამშრომლებზე ერთად გაიცა - 2321506 ლარი, ხოლო მივლინებისათვის ქვეყნის შიგნით სხვადასხვა ტრენინგებზე დასასწრებად გადახდილია 1209 ლარი.

კვების თანხა 2018 წლის 1 ივლისის მდგომარეობით შეადგენდა --- 870715 ლარს. (კვების თანხის მატება გამოწვეული იყო ახალ მენიუზე გადასვლით, რომელიც ითვალისწინებს კვების რეგულაციებს. შესაბამისად კვების თანხა გაიზარდა და იგი ერთ ბავშვზე შეადგენს 2ლ 85 თ (დღეში), ნაცვლად -- 2ლ. 40 თეთრისა). წლის ბოლოს 2708 აღსაზრდელისათვის გაიცა საახალწლო სასაჩუქრე ნობათი, სულ - 11995 ლარის ღირებულების.

საკანცელარიო ხარჯებმა ცენტრსა და ბაღებში შეადგინა 10700 ლარი, ხოლო სასტამბო მომსახურებამ (ბროშურები, ნორმატიული აქტები, საცნობარო ლიტერატურა) - 3416 ლარი. საბავშვო ბაღის აღსაზრდელისათვის ცენტრმა

შეიძინა 950 ლარის მუსუკალური ინსტრუმენტები, კარტიჯების შეძენა-დატუმბვისათვის გადახდილია - 950 ლარი, სხვადასხვა მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის (ხორცსაკეპი მანქანები, აირ-გამწოვები, ქსოვილის ნაწარმი) შეძენისა და დამონტაჟების ხარჯებმა შეადგინა - 32491 ლარი, საოფისე და საბავშვო ბაღებისათვის ავეჯის შესაძენად დაიხარჯა - 4060 ლარი.

შენობა-ნაგებობების მიმდინარე რემონტისათვის გაიხარჯა - 7155 ლარი, ხოლო საოფისე მოწყობილობების რემონტის ხარჯი იყო 19774 ლარი.

ცენტრმა საბავშვო ბაღებისათვის შეიძინა 26 მაცივარი, ღირებულებით - 16900 ლარი, N4 ფილიალისათვის გაუქურა - 1439 ლარის, კომპიუტერი - 1372 ლარი, ცენტრი“-ს N3 ფილიალისთვის შევიძინეთ 1 (ერთი) ცალი გათბობის ბოილერის ქვაბი თავისი საკვამურით, საერთო ღირებულებით 7660,02 (შვიდიათასექვსასამოცი ლარი და ოფისისათვის კონდიციონერი 2 ცალი, სულ 1640 ლარის.

ოფისისა და ფილიალებისათვის საჭირო სანიტარულ-ჰიგიენური და სამეურნეო საშუალებების შესაძენად დაიხარჯა - 45505 ლარი.

რაც შეეხება კომუნალური ხარჯებს:

1. ცენტრსა და საბავშვო ბაღებში - ელექტრო ენერჯია - 23651 ლარი,
2. წყლის ხარჯი - 21848 ლარი,
3. ბუნებრივი და თხევადი აირის - 84560 ლარი,
4. კანალიზაციის ხარჯი - 4530 ლარი,
5. გათბობისა და გათბობის მიზნით შეძენილი ნედლეულის ღირებულება - 42653 ლარი,
6. ბაღებისა და მათი მიმდებარე ტერიტორიების დასუფთავების ხარჯი - 8263 ლარი
7. კავშირგაბმულობის ხარჯია - 3863 ლარი (ინტერნეტი და ტელეფონი).

სატრანსპორტო ხარჯმა შეადგინა 4508 ლარი, საწვავი ხარჯი იყო - 3647 ლარი, სატენდერო მოსაკრებლისათვის, სხვადასხვა ექსპერტიზისა და შემოწმებებისათვის გაიცა - 4830 ლარი, თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ტრენინგებში გადახდილია - 3840 ლარი, ხოლო საკონსულტაციო მომსახურებაში - 2175 ლარი. შენობა-ნაგებობის დაცვაში (ქალაქის ბაღები) - 6186 ლარი, ხოლო ბინის ქირა (საოფისედ და ფილიალისათვის) - 5100 ლარი. სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეულმა ხარჯმა შეადგინა - 1426 ლარი.

ამასთან გაცნობებთ, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიამ უსასყიდლოდ N3 ფილიალისათვის გადმოგვცა პერსონალური კომპიუტერი (კომპლექტი) - 893 ლარის ღირებულებით და გაუქურა გამწოვით - 1979 ლარის. ასევე ცენტრს გადმოეცა შემდგომში ექსპლუატაციის მიზნით დაბა ურეკის ფილიალის (საბავშვო ბაღის) მატერიალური ფასეულობები საერთო ღირებულებით - 166920 ლარი.

2018 წლის 1 ოქტომბერს გაიხსნა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ურეკის საბავშვო ბაღი, რომელსაც დაემატა მე-4 სააღმზრდელო ჯგუფი, ასევე N4 საბავშვო ბაღში აღსაზრდელების მატებასთან დაკავშირებით გაიხსნა მე-4 სააღმზრდელო ჯგუფი.

ა(ა)იპ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი“-ს მეთოდური განყოფილების სპეციალისტები სისტემატურად ხვდებოდნენ საბავშვო ბაღის აღმზრდელებს სტანდარტებთან დაკავშირებული სიახლეების გაცნობის მიზნით.

ასევე საბავშვო ბაღებში მოხდა მზაობის ჯგუფების ფიზიკური გარემოს გადახალისება, საგაზაფხულო, საშემოდგომო და საახალწლო აქტივობები ჩატარდა ყველა ბაღებში.

საბავშვო ბაღებში სისტემატურად ხდება დეზინფექცია, დეზინსექცია და დერატიზაციის ჩატარება.

გაწეული მუშაობის შესახებ ცენტრში ანგარიშები წარმოადგინა როგორც ცენტრის თანამშრომლებმა, ასევე ბაღის ყველა მენეჯერმა. ცენტრის მიერ მოხდა მათი მუშაობის შეფასება.

ამავე წელს კვალიფიკაცია აიმაღლეს ცენტრისა და ფილიალების მეთოდისტებმა, შემდეგი მოდულის მიხედვით: „აღმზრდელი პედაგოგის პროფესიული სტანდარტი“.

ასევე ტრენინგები ჩატარდათ საბავშვო ბაღების 64 აღმზრდელს, სასკოლო მზაობის სტანდარტებსა და ძალადობის თემაზე.

ცენტრის მიერ თვეში ერთხელ ხდება შეხვედრა სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით აღმზრდელებთან, სადაც განიხილება შერჩეული თემა, თვის ბოლოს კი დგება სხვადასხვა თემებზე პრეზენტაცია.

წლის ბოლოს ა(ა)იპ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი“-ს მიერ გამოვლინდა წლის საუკეთესო აღმზრდელები და მენეჯერები, მათ გადაეცათ სიგელები.

2018 წლის დეკემბრის ბოლოს ცენტრის მიერ შემუშავდა 2019 წლის სამტატო ნუსხა, რომელიც გაიგზავნა ოზურგეთის უნიციპალიტეტის მერთან შესათანხმებლად. ასევე შემუშავდა და დამტკიცდა 2019 წლის კვების მენიუ და შესყიდვების გეგმა.

ა(ა)იპ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი
აღზრდის ცენტრის“ დირექტორი:

/მ. ჭყონია/